



[RSS](#)



- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ტექნოლოგიები](#)
- [სამართალი](#)
- [კომენტარი](#)
- [კულტურა](#)
- [საზოგადოება](#)
- [ბლოგები](#)

[Home](#) / [ახალი ამბები](#) / სასამართლომ საყდრისის მადაროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აღუდგინა 2014.06.13

სასამართლომ საყდრისის მადაროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აღუდგინა

[საყდრისი](#),
[მიშა მეფარიშვილი](#)

ამავე თემაზე:

[მოწვეული ექსპერტები: საყდრისში უძველესი მადაროს არსებობა დადასტურდა მორიგი აქცია საყდრისისთვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის აღდგენის მოთხოვნით \[ვიდეო\]](#) აქცია საყდრისის მადაროსთვის სტატუსის აღდგენის მოთხოვნით 5 ივნისს გაიმართება სასამართლოს გადაწყვეტილებას საყდრისში მიწის სამუშაოების აკრძალვაზე RMG გასაჩივრებს RMG კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს საყდრისში მონიტორინგის გეგმის დამტკიცებას სთხოვს ოდიშარიას კულტურის მნიშვნელობა მისი ლექსების საჯარო წაკითხვით შეახსენეს [video]

თბილისის საქალაქო სასამართლომ კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის თანახმადაც საყდრისის მადაროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოეხსნა ბათილად ცნო და განსახილველად სამინისტროს დაუბრუნა.



სასამართლო სხდომა დღეს, 13 ივნისს, 11:00 საათზე დაიწყო. მოსარჩელე მხარე იყო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივა”, ხოლო მოპასუხე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძემ განმარტა, რომ “მწვანე ალტერნატივას” სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მინისტრმა, 2013 წლის 5 ივლისის ბრძანება, რომლითაც მან საყდრისის მადაროს მოუხსნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, მიიღო პროცედურული დარღვევებით, კერძოდ სამინისტროში არსებულ არქეოლოგიურ საბჭოს საკითხი არ განუხილავს და კომისიის წევრების დისკრეციის ფარგლებში არ გამოუტანია გადაწყვეტილება.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს კომენტარი სასამართლო სხდომაზე არ გაუკეთებიათ, მათი თქმით სამინისტრო განცხადებას მოგვიანებით გაავრცელებს.

სამინისტროს აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება 24 დღის ვადაში შეუძლია.

კულტურის სამინისტრომ 2013 წლის 5 ივლისს საყდრისის მადაროს მოხსნა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი სპეციალურად შექმნილი 11 კაცის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

მოქალაქეების ნაწილი სამინისტროს გადაწყვეტილებას აპროტესტებს. საყდრისში მუდმივად იმყოფებიან "საყდრისის დაცვის საზოგადოებრივი კომიტეტის" წევრები, რომლებსაც საყდრისის მადაროსთან კარვები აქვთ გაშლილი. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ 2014 წლის მაისში მოიწვია გერმანელი და ბულგარელი ექსპერტები საყდრისის საკითხის შესასწავლად, მათ დაადასტურეს საყდრისში უძველესი მადაროს არსებობა.

საყდრისის მადარო მდებარეობს წიაღისეულის სალიცენზიო ტერიტორიაზე რომელსაც კომპანია RMG Gold-ი ფლობს. კომპანია ამტკიცებს, რომ ამ ტერიტორიაზე მას ოქროს მოპოვებაში ხელი ეშლება. RMG Gold-მა მიმართა 2013 წლის თებერვალში მაშინდელ პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილს მიმართა, რომ საყდრისის მადაროს არავითარი ღირებულება არ გააჩნდა და ითხოვდა მისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნას.



სასამართლო

მედიამონიტორინგის შედეგები განახლებულ ვებ-გვერდზე

Like 240
 +1 0
 Tweet 0

ამავე თემაზე:

- [საიას ვკლევა: ქვემო ქართლში წიაღისეულის ლიცენზიები ერთი ჯგუფის ხელშია](#) 2014.06.10
- [საყდრისზე სამუშაოდ მოწვეული ექსპერტებს კითხვებზე პასუხის გაცემას სთხოვენ \[VIDEO\]](#) 2014.05.09
- [ოდიშარია: RMG გოლდი საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე კანონის ფარგლებში მოქმედებს](#) 2014.04.24
- [RMG: საყდრისში აქციის მონაწილეები პროვოკაციებს აწყობენ](#) 2014.04.23
- [ირაკლი ღარიბაშვილი: საყდრისის თემაზე სპეკულაციები უნდა დასრულდეს](#) 2014.04.23
- [აქციის მონაწილეები: საყდრისის ნგრევა დაიწყო](#) 2014.04.18